

შპს ახალი ქსელები

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული და ამ
თარიღით დამთავრებული წლისათვის და მასზე გაცემული
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
1. კომპანია და მისი საქმიანობა	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	10
3. ძირითადი საშუალებები	15
4. არამატერიალური აქტივები	16
5. გასაყიდად გამიზნული ძირითადი საშუალება	16
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	16
7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	16
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	17
9. ნასესხები საშუალებები	17
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	18
11. შემოსავალი რეალიზაციიდან	18
12. გაყიდვების თვითღირებულება	18
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	19
14. ფინანსური ხარჯი (ნეტო)	19
15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	19
16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
17. ფინანსური ინსტრუმენტები	21
18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	21
მმართველობითი ანგარიში	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

შპს “ახალი ქსელები”-ს დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ახალი ქსელები”-ს (შემდგომში, ტექსტში, კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე, ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს, თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 2.17.2.-ე შენიშვნის - საწარმოს უწყვეტობის პრინციპი - ნაწილზე, რომელიც ასახავს, რომ: „კომპანიას ერიცხება მოკლევადიანი ვალდებულებები 19,182 ოდენობით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების უმნიშვნელოვანესი ნაწილი 13,839 - წარმოადგენს ვალდებულებას კომპანიის ერთ-ერთი (10 პროცენტის წილის მფლობელის) დამფუძნებლებისა და მის მიერ ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს მიმართ. ეს ორივე კომპანია ამავე დროს წარმოადგენს შპს “ახალი ქსელებთან” ერთად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებს. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ შემოღებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებთან და სხვა კრედიტორებთან დავალიანების დაფარვის ისეთი პოლიტიკის შეჯერებას, რომელიც არ შეაფერხებს კომპანიის მომავალ ჩვეულებრივ პირობებში ოპერირებას. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.“ ეს მოვლენები მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების შემდეგ შენიშვნებზე:

15.4. კომპანიის თავდებობები დაკავშირებული მხარის სასარგებლოდ გაცემულ საბანკო გარანტიის უზრუნველყოფის ფარგლებში.

15.5. კომპანიის მიერ დაკავშირებული პირების სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა.

15.6. კომპანიის მიერ დაკავშირებული პირების სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხებთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2025 წლის 27 ივნისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკონსოლიდაცირებულია აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 21-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“- ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“- ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევლება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2025 წლის 27 ივნისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 21-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2025 წლის 27 ივნისი, თბილისი, საქართველო

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ, თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სადირიგვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სადირიგვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენი წარდგენილ 2025 წლის 27 ივნისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 21-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

2025 წლის 27 ივნისი, თბილისი, საქართველო



შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	24,751	25,231
არამატერიალური აქტივები	4	12	18
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,763	25,249
მოკლევადიანი აქტივები			
გასაყიდად გამიზნული ძირითადი საშუალებები	5	207	207
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1,818	1,659
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	313	486
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	505	376
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,843	2,728
სულ აქტივები		27,606	27,977
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	2.16	56	56
გაუნაწილებელი მოგება		6,812	4,651
სულ საკუთარი კაპიტალი		6,868	4,707
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	1,556	2,294
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,556	2,294
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	867	1,623
გადასახდელი დივიდენდები		740	740
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	17,270	18,361
საგადასახადო ვალდებულებები		305	252
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,182	20,976
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		27,606	27,977

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ქნ ხათუნა ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ახალი ქსელები" - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	24,751	25,231
არამატერიალური აქტივები	4	12	18
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,763	25,249
მოკლევადიანი აქტივები			
გასაყიდად გამიზნული ძირითადი საშუალება	5	207	207
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	1,818	1,659
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	313	486
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	505	376
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,843	2,728
სულ აქტივები		27,606	27,977
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	2.16	56	56
გაუნაწილებელი მოგება		6,812	4,651
სულ საკუთარი კაპიტალი		6,868	4,707
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	1,556	2,294
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,556	2,294
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	9	867	1,623
გადასახდელი დივიდენდები		740	740
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	17,270	18,361
საგადასახადო ვალდებულებები		305	252
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		19,182	20,976
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		27,606	27,977

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ქნ ხათუნა ინჯიჯი, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	21,676	20,858
გაყიდვების თვითღირებულება	12	(15,538)	(15,592)
საერთო მოგება		6,138	5,266
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(3,643)	(4,164)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	14	(392)	(520)
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)		58	(156)
მიმდინარე წლის მოგება		2,161	426
სრული შემოსავალი		2,161	426

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ქნ ხათუნა ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ახალი ქსელები" - ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	21,676	20,858
გაყიდვების თვითღირებულება	12	(15,538)	(15,592)
საერთო მოგება		6,138	5,266
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(3,643)	(4,164)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	14	(392)	(520)
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)		58	(156)
მიმდინარე წლის მოგება		2,161	426
სრული შემოსავალი		2,161	426

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ქნ ხათუნა ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	26,055	23,989
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(22,975)	(22,525)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,080	1,464
გადახდილი პროცენტი	(370)	(496)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	2,710	968
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,131)	(876)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	37	102
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,094)	(774)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	-	870
სესხის ძირის დაფარვა	(1,475)	(1,413)
გადახდილი დივიდენდი	-	(23)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,475)	(566)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	141	(372)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	376	775
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(12)	(27)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	505	376

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ქნ ხათუნა ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ახალი ქსელები" - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2024 დასრულებული წლისათვის	31.12.2023 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	26,055	23,989
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(22,975)	(22,525)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,080	1,464
გადახდილი პროცენტი	(370)	(496)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	2,710	968
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,131)	(876)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები	37	102
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,094)	(774)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	-	870
სესხის ძირის დაფარვა	(1,475)	(1,413)
გადახდილი დივიდენდი	-	(23)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(1,475)	(566)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	141	(372)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	376	775
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(12)	(27)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	505	376

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ქნ ხათუნა ინჯგა, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი



შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	56	4,225	4,281
2023 წლის სრული შემოსავალი	-	426	426
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	56	4,651	4,707
2024 წლის სრული შემოსავალი	-	2,161	2,161
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	56	6,812	6,868

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ქნ ხათუნა ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი

შპს "ახალი ქსელები" - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	56	4,225	4,281
2023 წლის სრული შემოსავალი	-	426	426
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	56	4,651	4,707
2024 წლის სრული შემოსავალი	-	2,161	2,161
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	56	6,812	6,868

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2025 წლის 27 ივნისს.

ქნ ხათუნა ინჯია, დირექტორი

ქნ მარინე კილაძე, ფინანსური დირექტორი


ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ახალი ქსელები“ დაფუძნდა 1996 წლის 2 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი: 211326732, მარეგისტრირებული ორგანო არის საბურთალოს რ-ნის სასამართლო. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №42.

შპს „ახალი ქსელები“ წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონები მოიცავს როგორც დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს.

2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ:

მესაკუთრე	31.12.2024	31.12.2023
ფრიდონ ინჯია, საქართველო, პ/ნ: 01007000616 (რუსეთის ფედერაციის მოქალაქე), წილის მმართველი 2024 წლის დეკემბრამდე, ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598).	46.238%	46.238%
ავთანდილ იაშვილი, პ/ნ: 01002004622 (საქართველოს მოქალაქე)	33.427%	33.427%
შპს „სისტემ ნეტ“, ს/კ: 205267423	10%	10%
ლილი სუხიტაშვილი, პ/ნ: 01017003643 (საქართველოს მოქალაქე)	4.16%	4.16%
შპს „მეკავშირე-97“, ს/კ: 202910378	3.685%	3.685%
ნაირა კვესელავა, პ/ნ: 01013008190 (საქართველოს მოქალაქე)	1.6%	1.6%
ვახტანგ ამაშუკელი, პ/ნ: 01012008906 (საქართველოს მოქალაქე)	0.64%	0.64%
თეიმურაზ ღოღობერიძე, პ/ნ: 01017003917 (საქართველოს მოქალაქე)	0.25%	0.25%

კომპანიის მაკონტროლებელი პირები არიან: ილია ინჯია, (პ/ნ 01007000232), ფრიდონ ინჯია (პ/ნ 01007000616), ხათუნა ინჯია (პ/ნ 01007005738), ლალი რუხაია (პ/ნ 01007002598) და ნაირა კვესელავა (პ/ნ 01013008190).

2024 წლის 29 ნოემბერს, შეიცვალა კომპანიის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი - „დირექტორი“ და ამ თანამდებობაზე დაინიშნა ქნ ხათუნა ინჯია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით, მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 შემოსავლის აღიარება

საქონლის გაყიდვიდან შემოსავალი და მომსახურებიდან ამონაგები აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა საქონლის საკუთრების უფლების გადაცემა და გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღე-სა და ფასდათმობის გარეშე.

2.3 წარდგენის ვალუტა

ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა („ქართული ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი

კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად, წლის ბოლოს სეზონის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში, როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

2.4 ძირითადი საშუალებები

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ასახული ძირითადი საშუალებები ასახულია მსს ფასს 35-ე განყოფილების - მსს ფასს-ზე გადასვლის განსაზღვრული „რეალური ღირებულებით, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულებით“. 2018 1 იანვრის შემდეგ შეძენილი აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთის ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ღირებულებით. აქტივის შესყდული თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომლებსაც გააჩნია სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლობის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის, შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც აქტივი შედის ექსპლუატაციაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა და შენობა-ნაგებობები	6-50
საკაბელო ქსელები	6-21
კავშირგაბმულობის და სხვა მოწყობილობები	5-20
ავეჯი, ოფისის მოწყობილობა და სხვა	3-20
სატრანსპორტო საშუალებები	6-15

2.5 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციითა და გაუფასურების ზარალით. იმ აქტივებს, რომლებსაც არ აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო ვადა, ცვეთა ერიცხებათ მენეჯმენტის მიერ შეფასებული სასიცოცხლო ვადის საფუძველზე. შეფასებული სასიცოცხლო ვადა, ასეთ შემთხვევაში, არ აჭარბებს 10 წელს.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. ლიცენზიების სასიცოცხლო ხანგრძლივობაა 7-10 წელი, პროგრამები სრული სახით ამოტივებულია.

2.6 არამონეტარული აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი კომპანიის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

2.7 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევითა და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღება ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად, შესაბამისად.

2.9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანება აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად, შესაბამისად.

2.10 სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეჭების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარედგინება ამორტიზებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ფულად ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება-ზარალის პერიოდში.

2.11 საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიური სარგებლის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

2.12 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალი სიხშირით ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, სულ მცირე, თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.13 მოგების გადასახადი

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარებაც ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც, ასევე, აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან, უშუალოდ, საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში, გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს

გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს კომპანია იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ, რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. კომპანიის შეფასება ეფუძნება მოქმედი ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის, კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ანულირება გაუკეთა მის ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივსა და ვალდებულებას.

2.14 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, განახორციელოს საპენსიო ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.15 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.16 კაპიტალი

კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემები არ არის მოყვანილი მეწარმეთა შესახებ კანონთან შესაბამისობაში, რის გამოც კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა არ არის თანხვედრაში კანონით განსაზღვრულ კაპიტალის სტრუქტურასთან. მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემები, მათ შორის კაპიტალთან დაკავშირებული მონაცემები, ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანილ უნდა იყოს 2026 წლის 1 აპრილამდე. ვინაიდან კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა არ შეესაბამება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული კაპიტალის სტრუქტურას, კომპანიის კაპიტალი წარმოდგენილია ერთიანი კაპიტალის სახით. კაპიტალი შევსებულია სრული ოდენობით.

2.17 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც, შესაძლოა, განაპირობონ

აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებები:

2.17.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

2.17.2. საწარმოს უწყვეტობის პრინციპი - „კომპანიას ერიცხება მოკლევადიანი ვალდებულებები 19,182 ოდენობით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულების უმნიშვნელოვანესი ნაწილი 13,839 (2024 წელს დავალიენა შემცირდა 957 თანხით) - წარმოადგენს ვალდებულებას კომპანიის ერთ-ერთი (10 პროცენტის წილის მფლობელის) დამფუძნებლებისა და მის მიერ ერთობლივად კონტროლირებად საწარმოს მიმართ. ეს ორივე კომპანია ამავე დროს წარმოადგენს შპს “ახალი ქსელებთან” ერთად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებს. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ შეძლებს საერთო კონტროლის ქვეშ მყოფ პირებთან და სხვა კრედიტორებთან დავალიანების დაფარვის ისეთი პოლიტიკის შეგუებას, რომელიც არ შეაფერხებს კომპანიის მომავალ ჩვეულებრივ პირობებში ოპერირებას. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

2.17.3. მნიშვნელოვანი სასამართლო დავა კონტრაგენტთან. იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 15.1.

2.17.4. საეჭვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს საეჭვო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე, რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას, კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის, უარყოფითს, რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებს, რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მახასიათებლები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა, მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ საეჭვო ვალების წარდგენილი მონაცემები წარმოადგენს დებიტორების გაუფასურების თანხის საუკეთესო შეფასებას (იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 7).

2.17.5. თავდებობები დაკავშირებული მხარის სასარგებლოდ გაცემულ საბანკო გარანტიის და სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში. იხილეთ ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 15.4, 15.5 და 15.6.

შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა ნაგებობები	საკაბელო ქსელები	კავშირ- გამულობის და სხვა მოწყობილო- ბები	ავიჯი, ოფისის მოწყობილო ბა და სხვა	სატრანსპორ- ტო საშუალებები	სულ
31.12.2022	14,690	6,318	12,914	841	284	35,047
შეძენა	75	268	1,465	57	266	2,131
გასვლა	(4)	(12)	(251)	(9)	(42)	(318)
რეკლასიფიკაცია						
გასაყიდად გამზადებულ აქტივებში	(251)	-	-	-	-	(251)
31.12.2023	14,510	6,574	14,128	889	508	36,609
შეძენა	91	137	1,493	38	71	1,830
გასვლა	(264)	(17)	(110)	(15)	(45)	(451)
31.12.2024	14,337	6,694	15,511	912	534	37,988
ცვეთა						
31.12.2022	1,491	1,365	5,539	564	143	9,102
პერიოდის ცვეთა	302	296	1,786	122	48	2,554
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	(2)	(196)	(9)	(27)	(234)
რეკლასიფიკაცია						
გასაყიდად გამზადებულ აქტივებში	(44)	-	-	-	-	(44)
31.12.2023	1,749	1,659	7,129	677	164	11,378
პერიოდის ცვეთა	298	271	1,362	33	53	2,017
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	(44)	(8)	(70)	(10)	(26)	(158)
31.12.2024	2,003	1,922	8,421	700	191	13,237
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31.12.2022	13,199	4,953	7,375	277	141	25,945
31.12.2023	12,761	4,915	6,999	212	344	25,231
31.12.2024	12,334	4,772	7,090	212	343	24,751

ახსნა-განმარტებით შენიშვნა 15.1-ში მოცემული სასამართლო დავის ფარგლებში, კომპანიის ყადაღადადებული აქტივების საბალანსო ღირებულება მოცემულია ქვევით:

	31.12.2024	31.12.2023
მიწა და შენობა-ნაგებობები	12,334	12,761
საკაბელო ქსელები	4,772	4,915
სულ:	17,106	17,676

2021 წლის აგვისტოში კომპანიის შენობა - ნაგებობაზე და მასთან დაკავშირებულ მიწაზე (საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 318 ათასი) რეგისტრირებულია შეზღუდვა, რომლითაც საჯარო რეესტრს ეკრძალება ამ ნივთთან დაკავშირებით ცვლილების რეგისტრაცია.

ბანკის სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში იპოთეკით დატვირთულია კომპანიის ხაზოვანი ნაგებობები და საკაბელო ქსელები, რომელთა თანხობრივი მონაცემები მოცემულია ქვევით ცხილში:

შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2023	31.12.2023
შენიშნა-ნაგებობები	5,480	5,601
საკაბელო ქსელები	3,819	4,052
სულ:	9,299	9,653

4. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	პროგრამები	სულ
ისტორიული ღირებულება:			
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	63	263
გასვლა	-	(4)	(4)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	59	259
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	200	59	259
ამორტიზაცია:			
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	176	63	239
პერიოდის ამორტიზაცია	6	-	6
გასულის ცვეთა	-	(4)	(4)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	182	59	241
პერიოდის ამორტიზაცია	6	-	6
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	188	59	247
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	24	-	24
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18	-	18
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12	-	12

5. გასაყიდად გამიზნული ძირითადი საშუალება

აღნიშნული უძრავი ნივთი წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მომავალი საკუთრების უფლებით დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში შპს „მეტროპოლიტენ გრუპ“-ის სახელზე. მომავალი მყიდველის მიერ ჩარიცხულია 62 და 91 ათასი ლარი 2024 და 2023 წელს შესაბამისად რომელიც ჯამურად ასახულია ირიცხება ვალდებულებებში (მიღებული ავანსების სახით). აქტივის შეთანხმებული გასაყიდი ფასი არის 125 ათასი დოლარი და მყიდველმა უნდა შეასრულოს გარკვეული პირობები რა შემთხვევაშიც გადაეცემა აქტივი საკუთრებაში.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2024	31.12.2023
მარაგ - ნაწილები	2,217	2,085
გაუფასურების რეზერვი	(399)	(426)
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,818	1,659

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
მისაღები სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან	1,382	1,481
საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვი	(1,183)	(1,189)
გადახდილი ავანსები	244	315
სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანება	80	85
ავანსებისა და სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანების საექვო ვალდების ანარიცხი	(210)	(206)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება	313	486

შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საექვო დებიტორული დავალიანების რეზერვის მოძრაობა	2024	2023
გაუფასურების რეზერვის საწყისი ნაშთი	1,189	1,340
რეზერვის გამოყენება	(130)	(218)
წლის ბოლოს რეზერვის დაკორექტირება	124	67
31 დეკემბრის მიხედვით	1,183	1,189
საექვო ავანსებისა და სხვა სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვის მოძრაობა	2024	2023
გაუფასურების რეზერვის საწყისი ნაშთი	206	239
წლის ბოლოს რეზერვის დაკორექტირება	4	(33)
31 დეკემბრის მიხედვით	210	206

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	486	373
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	19	3
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	505	376

9. ნასესხები საშუალებები

	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი საბანკო სესხის მოკლევადიანი ნაწილი ლარში	708	1,486
გრძელვადიანი საბანკო სესხები ლარში	1,454	2,157
მომწოდებელთან გაფორმებული გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი ევროში	159	137
მომწოდებელთან გაფორმებული გრძელვადიანი სესხი ევროში	102	137
სულ ნასესხები საშუალებები	2,423	3,917

დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:

1 წელში	867	1,623
1-3 წელში	1,441	1,635
3-6 წელში	115	659
სულ ნასესხები საშუალებები	2,423	3,917

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხები წარმოადგენს საბანკო სესხებს ლარში და ძირითადი საშუალების მომწოდებელთან გაფორმებულ სესხს ევროში. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იყო - 12% - 13.5% ლარში ნომინირებულ სესხებზე, ხოლო, 3.5% ევროში ნომინირებულ მომწოდებელთან გაფორმებულ სესხებზე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია თავდებობით. თავდებობა და სოლიდარული სრული პასუხისმგებლობა ნაკისრი აქვთ კომპანიის 10 წილის მფლობელ კომპანიას და სხვა დაკავშირებული მხარეს, რომლებიც, ამავდროულად, წარმოადგენენ კომპანიასთან ერთად ერთობლივი კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოებს. ამავდროს, სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთულია: კომპანიის წილების ნაწილი 79.42%-ის ოდენობით.

ბანკის სესხის უზრუნველყოფის ფარგლებში იპოთეკით დატვირთულია კომპანიის ხაზოვანი ნაგებობები და საკაბელო ქსელები. იპოთეკაში ჩადებული აქტივების დეტალები იხილეთ ახსნა-განმარტებით შენიშვნა (3)-ში.

სესხის ხელშეკრულების მიხედვით, ბანკმა დაუწესა კომპანიას გარკვეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა ნაწილი დარღვეულია კომპანიის მხრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური შეზღუდვების დარღვევის შემთხვევაში, ბანკს სხვა დანარჩენთან ერთად, უფლება აქვს (ა) კლიენტისთვის შეტყობინებით ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებლის განაკვეთი მაქსიმუმ 10%-ით (ბ) თუ დარღვეული პირობები არ შესრულდება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ან დარღვევა

შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება**2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

მეორდება სისტემატურად, ბანკი იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში და საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების მოქმედება წერილობითი შეტყობინების მიწოდების გზით და უკან გამოითხოვოს სესხის თანხა ან მისი ნებისმიერი ნაწილი. (გ) მოითხოვოს ბანკის მიერ განსაზღვრული ოდენობის თანხის დეპონირება ბანკის მიერ მითითებულ ანგარიშზე კლიენტის ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სს „თიბისი ბანკი“ არ განახორციელებს ზემოაღნიშნულ ქმედებებს და კომპანიას შესაძლებლობა ექნება, წარმატებულად აწარმოოს მოლაპარაკებები ბანკთან, რათა გადალახოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული პოტენციური პრობლემა. ამის დასტურად კომპანიას მოპოვებული აქვს ბანკიდან შესაბამისი წერილი, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ ბანკი არ განახორციელებს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ამ დარღვევათა გამო მისი ზემოთ განსაზღვრული უფლებების გამოყენებას.

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	14,985	16,394
მიღებული ავანსები	1,603	1,256
გადასახდელი ხელფასები	513	510
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	169	201
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	17,270	18,361

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024 წლისათვის	2023 წლისათვის
შემოსავალი ინტერნეტის მომსახურებიდან	12,336	12,026
შემოსავალი სატელევიზიო მომსახურებიდან	6,015	5,353
შემოსავალი სატელეფონო მომსახურებიდან	2,706	3,065
შემოსავალი ურთიერთჩართვის მომსახურებიდან	123	145
შემოსავალი არხების იჯარიდან	213	206
სხვა საკომუნიკაციო შემოსავლები	283	63
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	21,676	20,858

12. გაყიდვების თვითღირებულება

	2024 წლისათვის	2023 წლისათვის
პირდაპირი ხელფასის ხარჯები	6,541	6,457
ინტერნეტის ხარჯები	3,431	3,138
ცვეთის ხარჯები	1,985	2,433
სატელევიზიო არხების ტრანსლაციის მომსახურების ხარჯები	1,026	832
კომუნალური დანახარჯები	852	988
რემონტის დანახარჯები	444	365
იჯარის დანახარჯები	314	310
ძირითადი მასალების და ნედლეულის დანახარჯები	234	321
მარეგულირებელი კომისიის ხარჯი	162	156
საწვავის დანახარჯები	114	118
ურთიერთჩართვისთვის გაწეული ხარჯები	94	106
სხვა თვითღირებულების ხარჯები	341	368
სულ თვითღირებულების ხარჯი	15,538	15,592

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წლისათვის	2023 წლისათვის
ხელფასის ხარჯები	1,778	2,525
იჯარის ხარჯები	595	575
საგადასახადო ხარჯები	301	229
ბანკისა და კლირინგის საკომისიოები	200	196
საექვო ვალების რეზერვი	128	34
ცვთვისა და ამორტიზაციის ხარჯები	38	127
კომუნალური და კავშირგაბმულობის ხარჯები	83	85
საკონსულტაციო ხარჯები	62	52
ბილინგის და ქოლცენტრის ხარჯი	61	11
რემონტის დანახარჯები	22	27
საოფისე და საკანცელარიო ხარჯები	22	19
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	353	284
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	3,643	4,164

14. ფინანსური ხარჯი (ნეტო)

	2024 წლისათვის	2023 წლისათვის
საპროცენტო ხარჯები	364	496
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან (ნეტო)	28	24
სულ ფინანსური ხარჯი (ნეტო)	392	520

15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

15.1 სასამართლო დავა კონტრაგენტთან. კომპანიას თავის კონტრაგენტთან აქვს მნიშვნელოვანი სადავო ურთიერთობათხოვნები. ეს ურთიერთობათხოვნები 2021 წელს განიხილებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამ დავის ნაწილზე 2021 პირველ ინსტანციის სასამართლომ მიიღო უკვე გადაწყვეტილება, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის საქმეები განიხილება სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ. კომპანიის მენეჯმენტი შეფასებით, მათ შორის პირველი ინსტანციის სასამართლო შედეგზე დაყრდნობით, არ მოელოა ამ პროცესიდან გამომდინარე რაიმე სახის მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს, შესაბამისად ანარიცხი ან რაიმე სახის აქტივის გაუფასურება არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. 2024 წელს ამ სასამართლო დავათან დაკავშირებით არანაირი მნიშვნელოვანი განვითარება არ მომხდარა.

15.2 სხვა სამართლებრივი პროცედურები. კომპანიის წინააღმდეგ აღძრულია სხვადასხვა სასამართლო საქმეები და მომავალშიც შესაძლოა, აღიძრას ცალკეული სამოქალაქო სარჩელები. საკუთარ შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას ამ სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

15.3 კომპანიის საბანკო სესხები. კომპანიის სესხის ხელშეკრულებების მიხედვით, ბანკმა დაუწესა მსესხებლებს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა ნაწილი დარღვეულია კომპანიის მხრიდან 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკთან მიღწეულია შეთანხმება, რომ არ მოხდება იმ ქმედებების განახორციელება (მათ შორის სესხის ვადამდე ადრე მოთხოვნა), რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მიხედვით სესხის პირობების დარღვევის შემთხვევაში. ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე კომპანიაში ამ კუთხით არ მოხდება მომავალში ფულადი ან სხვა სახის ეკონომიკური სარგებლის გასვლა, ამ მიზეზთა გამო წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

15.4. კომპანიის თავდებობები დაკავშირებული მხარის სასარგებლოდ გაცემულ საბანკო გარანტიის უზრუნველყოფის ფარგლებში. კომპანია წარმოადგენს თავდებს 10 პროცენტი წილის მფლობელ კომპანიის, რომელიც ამავდროულად კომპანიასთან ერთად საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიაა, სასარგებლოდ გაცემულ საბანკო გარანტიების ფარგლებში. გარანტია აღებული და წარდგენილია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის, მისგან შესყიდულ ქონებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებით, განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოსალოდნელი საპირგასამტეხლოს შესრულების უზრუნველყოფის მიზნით. საბანკო გარანტია გაცემულია 2016 წელს და 2018 წელს 1 მილიონ და 179 ათას ლარზე შესაბამისად. გარანტია მოქმედებდა 2020 წლის მაისამდე, რომელიც შემდგომში გაგრძელდა 2024 და საბოლოოდ 2026 წლამდე. კომპანიის თავდებობის

ლიმიტი განისაზღვრება 250 ათასი ლარით. ამ გარანტიის ფარგლებში დაკავშირებული მხარის 476 ათასი დოლარის ოდენობით საბანკო ანგარიში ბლოკირებულია. ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, კომპანიიდან არ მოხდება მომავალში ეკონომიკური სარგებლის გასვლა და კომპანიის დამფუძნებელი თავად მოემსახურება ამ ვალდებულების თანხებს. ამ მიზეზთა გამო, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

15.5. კომპანიის მიერ დაკავშირებული პირების სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა. კომპანია წარმოადგენს თავდებს მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხის. კომპანია და ეს დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებია, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. მიღებულ სესხს ვადაგადაცილების გარეშე ემსახურება დაკავშირებული მხარე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ნაშთი შეადგენს 1,046 ათას ლარს. ზოგადად ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება 4,100 ათასი ლარით. კომპანია თვლის რომ დაკავშირებული მხარე სრულად დამოუკიდებლად მოემსახურება ამ სესხს მომავალშიც და არ მოელის მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასავლებს, რის გამოც არ არის რაიმე სახის ანარიცხი აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

15.6. კომპანიის მიერ დაკავშირებული პირების სესხების უზრუნველყოფის ფარგლებში ბანკზე გაცემული თავდებობა. 2024 წელს კომპანია გახდა სოლიდარული თავდები მისი დაკავშირებული მხარის მიერ აღებული სესხის. კომპანია და ეს დაკავშირებული პირი საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებია, მათ პირთა ერთი და იგივე ჯგუფი აკონტროლებს. მიღებულ სესხს ვადაგადაცილების გარეშე ემსახურება დაკავშირებული მხარე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის ნაშთი შეადგენს 1,395 ათას ლარს. ზოგადად ხელშეკრულების საფუძველზე, თავდების მაქსიმალური პასუხისმგებლობის თანხა შემოიფარგლება უშუალოდ სესხის ოდენობით. კომპანია თვლის რომ დაკავშირებული მხარე სრულად დამოუკიდებლად მოემსახურება ამ სესხს მომავალშიც და არ მოელის მომავალ ფულად ან სხვა სახის ეკონომიური სარგებლის სახით გასავლებს, რის გამოც არ არის რაიმე სახის ანარიცხი აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთგავშრის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა, შეიძლება, დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები, შეიძლება, არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2024 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	მაკონტროლ ებელი პირები	სხვა დამფუძნებ ლები	მენეჯმენტი	საერთო კონტროლ ის ქვეშ არსებული კომპანიები	სხვა დაკავშირებ ული მხარეები
ნაშთები:					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გროსი	-	-	-	25	65
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	-	-	(25)	(65)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	11,199	-	2,198	75
გადასახდელი დივიდენდები	74	666	-	-	-
ოპერაციები:					
შესყიდვები	21	3,714	-	673	-
რეალიზაცია	-	23	-	85	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	91	8	254	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ვალდებულება)	4	1	14	-	-

შპს “ახალი ქსელები” - ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2023 წლის 31 დეკემბრისა და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებლებთან, დირექტორთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	მაკონტროლო ებელი პირები	სხვა დამფუძნებ ლები	მენეჯმენტი	საერთო კონტრო ლის ქვეშ არსებული კომპანიები	სხვა დაკავშირებ ული მხარეები
ნაშთები:					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გროსი	-	-	-	5	69
შესაბამისი გაუფასურების რეზერვი	-	-	-	-	(69)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	11,909	-	2,457	93
გადასახდელი დივიდენდები	74	666	-	-	-
ოპერაციები:					
შესყიდვები	-	3,385	-	588	4
რეალიზაცია	-	26	-	75	-
გაცემული დივიდენდი	-	23	-	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ხარჯი)	88	662	217	-	-
მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები (ვალდებულება)	4	1	16	-	-

17. ფინანსური ინსტრუმენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	505	376
სავაჭრო დებიტორები ძირითადი საქმიანობიდან (ნეტო)	199	292
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები	704	668
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	2,423	3,917
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	14,985	16,394
გადასახდელი დივიდენდები	740	740
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	169	201
სულ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები	18,317	21,252

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

2025 წლის 27 ივნისს, კომპანიამ გააფორმა ბანკთან სასესხო ხელშეკრულება ორ 3,800 და 800 ლარის ოდენობით სესხებზე.

ბალანსის შედგენის შემდგომ, არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 ივნისს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს “აბალი ქსელები”-ს

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

საფირმო სახელწოდება: შპს ახალი ქსელები

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 211326732

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 5ა/4-477;2/08/1996

მარეგისტრირებული ორგანო: საბურთალოს რ-ნის სასამართლო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ., №42.

დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: info@ak.ge

კომპანიის მმართველობის ორგანოს წარმოადგენს:

- პარტნიორთა კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო: (თავმჯდომარე/წევრი: ლალი რუხაია, 01007002598; წევრი: ავთანდილ იაშვილი, 01002004622; წევრი: ვახტანგი ამაშუკელი, 01012008906);
- ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა– დირექტორი.

შპს „ახალი ქსელების“ მესაკუთრეები არიან: ფრიდონ ინჯია 46.238%, ავთანდილ იაშვილი 33.427%; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სისტემ ნეტ 10%; ვახტანგი ამაშუკელი 0.64%; ნაირა კვესელავა 1.6%; ლილი სუხიტაშვილი 4.16%; თეიმურაზ ლოღობერიძე 0.25%; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეკავშირე-97 - 3.685%;

2021 წლის 24 ივნისს მოხდა შპს „ახალ ქსელების“ საიდ.კოდი 211326732 და შპს „ახტელის“ საიდ.კოდი 202913106 შერწყმა.

დღეისათვის კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს: ფინანსური, ტექნიკური, ტექნოლოგიური და კომერციული მიმართულებით. კომპანიაში დასაქმებულია 399 თანამშრომელი. კომპანია მომსახურებას ახორციელებს სერვისცენტრების და გორი-კასპის; ზუგდიდი–ფოთი; ქუთაისის რეგიონალური განყოფილებების მეშვეობით, რომელთაც ხელმძღვანელობენ მენეჯერები. სერვისცენტრები და რეგიონალური განყოფილებები არ წარმოადგენენ კომპანიის ფილიალებს.

2. კომპანიის საქმიანობა, მდგომარეობის მიმოხილვა

შპს „ახალი ქსელები“ წარმოადგენს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის კერძო ოპერატორს საქართველოში. მისი დაფარვის ზონებია: ქ.თბილისი; ქ.ქუთაისი; ქ.ზუგდიდი; ქ.ფოთი; ქ.მარტვილი; ქ.თერჯოლა; ქ.გორი; ქ.ზესტაფონი. კომპანიას გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიები და ავტორიზაციები, რომლის მეშვეობითაც იგი მომხმარებელს აწვდის საკომუნიკაციო სერვისს.

შპს „ახალი ქსელების“ საქმიანობა ორ მიმართულებას მოიცავს. ესენია საცალო და სატელეკომუნიკაციო ქსელის გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბითუმო საქმიანობები:

- ფიქსირებული ქსელში ურთიერთჩართვა ზარის წამოწყება/დასრულება;
- სპილენძის საბონენტო სახაზო–საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვება;
- საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვება;
- ინტერნეტის მომსახურების მიწოდება.

კომპანიის მიზანია უზრუნველყოს მომხმარებელი თანამედროვე, სწრაფი და ხარისხიანი სატელეკომუნიკაციო კავშირებით და შესთავაზოს მათ მრავალფეროვანი სერვისები და მომსახურების მაღალი ხარისხი.

კომპანიის ფუნქციონირების მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტებია:

- საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ;
- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- შპს „ახალ ქსელებს“ საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში გავლილი აქვს

ავტორიზაციები მომსახურების შემდეგ ძირითად მიმართულებებზე;

- ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;
- ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;
- მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა;
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა;
- ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის სხვა საქმიანობის სახეები;
- ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება;
- ინტერნეტ მომსახურება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე, შპს „ახალი ქსელები“ აღიარებულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად და დაკისრებული აქვს სპეციფიური ვალდებულებები ბაზრის შემდეგ სეგმენტებზე:

- საკუთარი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვება და ურთიერთჩართვის სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება;
- სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსთან დაშვება;
- საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურება;
- „Backhaul”/”Trunk” გადაცემის ქსელთან დაშვება;

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია რაიმე ტიპის აქციების შეძენა.

შემოსავლის სახეები:

2.1.1 ფიქსირებული სატელეფონო მომსახურება

2024 წლის მდგომარეობით საქართველოს სატელეფონო მომსახურების ბაზარზე ოპერირებდა 25 კომპანია. ფიქსირებული სადენიანი ტექნოლოგიით მომსახურებას აწვდიდა 6 ავტორიზებული პირი, უსადენო ტექნოლოგიით - ერთი, ხოლო VoIP ტექნოლოგიით - 21 კომპანია.


ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების რაოდენობის პროპორციულად ხდება შემოსავლებისა და ტრაფიკის შემცირება, რაც 2005 წლიდან მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, ხოლო საქართველოს ბაზარზე სადენიან სატელეფონო მომსახურებაზე შემცირება უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს 2010-2024.

რაც შეეხება ახალ ქსელებს, 2024 წლისთვის კომპანიას ჰყავდა 53 882 აქტიური აბონენტი, რაც წინა წლის მონაცემთან შედარებით 11.5%-ითაა შემცირებული, ხოლო სატელეფონო მომსახურებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 554 135 ლარი, 2023 წელთან მიმართებაში აღინიშნება შემოსავლების კლება -12.4%-ით.

ფიგურა 1-ზე წარმოდგენილია გასული 5 წლის აბონენტების რაოდენობისა და შემოსავლების მაჩვენებლები აბსოლუტურ სიდიდეებით, ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან და რადგანაც 2021 წელს მოხდა ახალი ქსელებისა და ახტელის გაერთიანება, მონაცემების შესადარისობისათვის მოცემულია ორივე კომპანიის გაერთიანებული მაჩვენებლები. როგორც გრაფიკზე ვხედავთ შეინიშნება კლებადი ტენდენცია, როგორც აბონენტების რაოდენობის ასევე შემოსავლების კუთხით. 2020-2024 წწ-ში.

შპს “ახალი ქსელები” მმართველობითი ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)



ფიგურა 1 ფიქსირებული სატელეფონო ქსელების რაოდენობა და შემოსავლები 2020-2024 წწ: ახალი ქსელები + ახტელი

წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

რაც შეეხება სატელეფონო მომსახურების გამავალ ტრაფიკს, აქაც შეინიშნება დადებითი ტენდენცია მსგავსად აბონენტებისა და შემოსავლების, როგორც ვხედავთ ნახ 2-ზე, აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ტრაფიკის კლების ტენდენცია უფრო მკვეთრია, ვიდრე აბონენტების რაოდენობის და შემოსავლების, არა მხოლოდ ახალი ქსელებში, არამედ ზოგადად ბაზარზე.



ფიგურა 2 გამავალი ტრაფიკი 1000 წთ 2020-2024 წწ: ახალი ქსელები + ახტელი

წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

2.1.2 ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება


ფიქსირებული ინტერნეტის ბაზარი საქართველოში 2022 წლიდან განიცდის სტაბილურ ზრდას, რასაც განაპირობებს როგორც ტექნოლოგიური პროგრესი (ოპტიკა), ისე მაკროეკონომიკური სტაბილურობა. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარი ნაწილობრივ გაჯერებულია, ინტერნეტის ხარისხზე და სიჩქარეზე მოთხოვნა ზრდის მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება.

2024 წელს საქართველოში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზრის ძირითადი ტენდენციები:

- აბონენტების რაოდენობა გაიზარდა 1.16 მილიონამდე — რაც მიუთითებს ბაზრის სტაბილურ ზრდაზე, თუმცა ზრდის ტემპი ნელდება.


- საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, აღნიშნული ბაზარი საქართველოში არაკონკურენტულად შეფასდა: შპს „მაგთიკომი“ აღიარებულია როგორც მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორი, რაც ბაზრის დივერსიფიკაციის ნაკლებობაზე მიუთითებს. კომისიამ დააწესა სპეციფიკური მარეგულირებელი ვალდებულებები, რაც მოხმად ისახავს კონკურენციის ხელშეწყობას.

როგორც ვხედავთ ფიგურა 3-ზე 2020 წლიდან შეინიშნება დადებითი მზარდი ტემპი აბონენტების კუთხით, მზარდია შემოსავალიც ინტერნეტ მომსახურებიდან (ფიგურა 3).



ფიგურა 3: ინტერნეტ აბონენტების რაოდენობის დინამიკა 2020-2024: ახალი ქსელები + ახტელი

წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge



ფიგურა 4: ინტერნეტ მომსახურებიდან შემოსავალი დინამიკა 2020-2024: ახალი ქსელები + აბტელი

წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

2.1.3 მაუწყებლობის ტრანზიტული მომსახურება


საქართველოში, ტრანზიტული მაუწყებლობის აბონენტების რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 776,000-ს, რაც წინა წელთან შედარებით 30,000-ით მეტია.

IPTV აბონენტების რაოდენობა გაიზარდა 675,000-მდე, რაც ტრანზიტული ბაზრის 87%-ზე მეტს შეადგენს.

აბონენტთა სიმკვრივე (penetration rate) 67.1%-ზე შენარჩუნდა — რაც მიუთითებს ბაზრის გაჯერების ნიშნებზე.

ბოლო 5 წლის განმავლობაში აბონენტების საშუალო წლიური ზრდა იყო მხოლოდ 1.4%, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ზრდის შენელებაზე მიუთითებს.

შპს ახალი ქსელები მაუწყებლობის ტრანზიტულ მომსახურებას თავის აბონენტებს სთავაზობს IPTV ტექნოლოგიით. 2024 წლის დასასრულისთვის მაუწყებლობის ტრანზიტის მიმღები სულ 30 853 აბონენტი დაფიქსირდა.



გამოყენებული წყარო: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდი analytics.gncc.ge

3. კომპანიის სტრატეგია და მიზნები

შპს „ახალი ქსელები“ მისიაა აბონენტების უზრუნველყოფა ხარისხიანი, სწრაფი, საიმედო, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი სატელეკომუნიკაციო სერვისებით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

2024–2025 წლებში კომპანიის ძირითადი მიზნებია:

- აბონენტთა რაოდენობის ზრდა
- IPTV სერვისის სრულყოფა
- გაყიდვებისა და კომუნიკაციის გაძლიერება სოციალური მედიის პლატფორმებზე
- სატელეფონო მომსახურების გადატანა VoIP ტექნოლოგიაზე

2024 წლიდან კომპანია აქტიურად მუშაობს ინტერნეტ აბონენტების შენარჩუნებაზე, რაზეც სრულად მორგებულია კომპანიის გაყიდვების სტრატეგია.

უმთავრეს ორიენტირად განისაზღვრა არსებული სააბონენტო ბაზის შენარჩუნება-ზრდა და ერთ აბონენტზე შემოსავლის გაზრდა, რაც ერთის მხრივ ტარიფის ცვლილებებით, ხოლო მეორეს მხრივ სხვადასხვა ტიპის, ოტპიმიზირებული ბანდლ პროდუქტების, ბაზრისთვის შეთავაზებით ხორციელდება.

ხელსაყრელი ეკონომიკური აქტივობის ზრდა გვამღევს საშუალებას განვავითაროთ და დავგეგმოთ ძლიერი და მიზანმიმართული მარკეტინგული პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს არსებული, თუ პოტენციურ მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისი ახალი პროდუქტების შექმნას, არსებული პროდუქტების სრულყოფას და მომსახურების ხარისხის დონის ამაღლებას. იგეგმება საკომუნიკაციო სტრატეგიის სრულად გადახედვა, მთავარი ორიენტირი უნდა გახდეს სოც.მედია პლატფორმები.

კომპანია აქტიურად ახდენს დიჯიტალ მარკეტინგის მიმართულებით ინვესტირებას, მიმართავს საკმაოდ ინტენსიურ სოც.მედია აქტივობებს, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს გრძელვადიან პერიოდში განავითაროს გამართული CRM ბაზა და საკუთარ აბონენტებთან დაიწყოს კასტომიზირებული კომუნიკაცია, მათი სეგმენტირება ინტერესების, საგადახდო ქცევისა და სხვა კომერციულად კომპანიისთვის საინტერესო მიმართულებით.

ჯამურად, კომპანია 2024-2025 წლებში გეგმავს ბაზრის წილის გაზრდას, ამავდროულად გეგმავს არსებული მომხმარებლებისთვის თანამედროვე და ახალი ტექნოლოგიის ინტერნეტის მიწოდებას, აიპი ტელევიზიის გამრავალფეროვნებას სერვისებისა და კონტენტის კუთხით, რამაც უნდა გაზარდოს როგორც მიწოდებული სერვისის ხარისხი, ისე არსებული კლიენტების კმაყოფილებისა და ლოიალობის დონე. რაც, კომპანიას აძლევს საშუალებას იყოს მუდმივად აქტუალური, სატელეკომუნიკაციო სერვისების პროვაიდერების ბაზარზე.

ძირითადი მიზნების პარალელურად, კომპანია აქტიურად განაგრძობს ინტერნეტ ტექნოლოგიის განახლების სტრატეგიას და აბონენტების სრულად გადაყვანას P2P უახლეს და Gpon-ტექნოლოგიაზე. 2024 წლის მდგომარეობით შპს „ახალი ქსელები“ ინტერნეტ მომხმარებლების განაწილება ტექნოლოგიების მიხედვით შემდეგია:

DSL-3%; FTTB -1%; Gpon-21%; P2P-75%.

2024 წელს P2P და Gpon-ის აბონენტების რაოდენობა 96%-ს შეადგენდა, შესაბამისად სრულად P2P და Gpon-ის ტექნოლოგიაზე გადასვლის მიმართულებით დადებითი შედეგი გვაქვს

4. კომპანიის რისკები

რისკი ახლავს ყველა სახის ეკონომიკურ საქმიანობას. აქტიური კონკურენციის, გაუთვალისწინებელი ბუნებრივი სტიქიების, ომების, არამდგრადი პოლიტიკური თუ სხვა სიტუაციების გამო კომპანია ყოველთვის სწევს რისკს.

საბაზრო რისკი ერთ – ერთი ყველაზე თვალშისაცემი ფინანსური რისკია. საბაზრო რისკი არის ზარალის ანაზღაურება იმ ფაქტორების გამო, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსური ბაზრების მთლიან საქმიანობაზე. საბაზრო რისკის ძირითადი წყაროებია რეცესიები, საპროცენტო განაკვეთის რყევები, პოლიტიკური არეულობა, სტიქიები და ტერაქტები. საბაზრო რისკი, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ერთდროულად მოქმედებს მთელ ბაზარზე. ამიტომ, ძნელია დაიცვა ბაზრის რისკი. გაცვლითი კურსის მკვეთრი ცვლილებები, საპროცენტო განაკვეთების მოულოდნელი რყევები, გეოპოლიტიკური მოვლენები ან რეცესიები ეს ყველაფერი სიტუაციაა, რომელიც იწვევს ბაზრის რისკს.

გარკვეული რისკების, ერთი შეხედვით, კლების პარალელურად, ახალი რისკები ჯერ კიდევ ჩნდება. ცვლილებები პოლიტიკურ, საქმიან და ეკონომიკურ სფეროში ახალი რისკების გაჩენას იწვევს, ამიტომ სატელეკომუნიკაციო სფერო უნდა ადაპტირდეს სწრაფად ცვალებად საბაზრო მოთხოვნებთან და ტექნოლოგიური ინოვაციების ასევე

შპს “ახალი ქსელები” მმართველობითი ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გაზრდილ ტემპებთან მიმართებაში. სატელეკომუნიკაციო სფეროს დამახასიათებელი რისკების მართვის მიზნით, საჭიროა საკუთარი ფასეულობების განახლების და გაფართოების გზების ძიება.

სფეროს დამახასიათებელი რისკები დაკავშირებულია ციფრულ ტრანსფორმაციასთან, მარეგულირებელ ვალდებულებასთან, კიბეროშდების ზრდასთან, მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლადობასთან, ინფრასტრუქტურაში განხორციელებულ ინვესტიციებთან, რომელიც მიმდინარე პერიოდში აქტუალურია. თუმცა, ამის პარალელურად ჩნდება ახალი რისკები. 2024 წელს დაფიქსირებული ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები, რომელიც ტელეკომუნიკაციების და კავშირგაბმულობის სფეროსთვის და მათ შორის შპს ახალი ქსელებისთვის რელევანტურია შემდეგია:

- არაპროგნოზირებადი ინფლაცია
- სავალუტო რისკი
- კიბერუსაფრთხოების რისკი
- რეგულირების რისკი
- საკრედიტო რისკი

არაპროგნოზირებადი ინფლაცია

ბოლო პერიოდში საქართველოში ინფლაცია კვლავ რჩება არაპროგნოზირებად ეკონომიკურ მარკერად. 2024 წელი შედარებით სტაბილური იყო ინფლაციის მაჩვენებლების მხრივ — წლიური ინფლაცია 1.9%-ს შეადგენდა, თუმცა გლობალური და რეგიონული ფაქტორები კვლავ ქმნიან გაურკვევლობას. პანდემიური კრიზისის შემდეგ, გეოპოლიტიკურმა დამახულობამ და რეგიონში მიმდინარე ომებმა (განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის კონფლიქტმა) კვლავ შეინარჩუნა ზეწოლა ეკონომიკურ გარემოზე. 2024 წელს, მიუხედავად ლარის კურსის შედარებითი გამყარებისა და ფულადი გზავნილების ზრდისა, ეროვნული ბანკი ფრთხილად ინარჩუნებდა მონეტარულ პოლიტიკას, ხოლო ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შენარჩუნდა 3%-ის ფარგლებში.

2025 წელს მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური გაურკვევლობის შენარჩუნება, რაც სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მაკროეკონომიკურ მოწყვლადობას გააღრმავებს. გეოპოლიტიკური არასტაბილურობა შესაძლოა უარყოფითად აისახოს რეგიონში ინვესტირებაზე და გამოიწვიოს კაპიტალის გადინება. აღნიშნული რისკის მატერიალიზაცია გავლენას მოახდენს ინფლაციაზე და ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების წნეხს შექმნის. შედეგად, პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების ზრდა კვლავ აქტუალური გახდება, რაც კომპანიებს დაავალდებულებს ანაზღაურების პოლიტიკის გადახედვას. ეს კი, თავის მხრივ, გაზრდის საოპერაციო ხარჯებს, რასაც კომპანიები შესაძლოა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით უპასუხონ.

სავალუტო რისკი

კომპანიის ფუნქციონირებისთვის საჭირო ძირითადი მასალებისა და მომსახურებების შესყიდვა კვლავაც ხორციელდება უცხოური მომწოდებლებისგან. კომუნიკაციების სფეროს განვითარებისთვის აუცილებელი აპარატურა, პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნოლოგიური მოწყობილობები უმეტესწილად იმპორტირებულია. შესაბამისად, უცხოური ვალუტის — განსაკუთრებით ევროსა და აშშ დოლარის — კურსის მერყეობა ლართან მიმართებით პირდაპირ აისახება პროდუქციის თვითღირებულებაზე.

2024 წელს ლარის კურსი შედარებით სტაბილური იყო, რაც ეროვნული ბანკის ფრთხილმა მონეტარულმა პოლიტიკამ და საგარეო ვალუტის რეზერვების ზრდამ განაპირობა. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, 2025 წელს მოსალოდნელია გლობალური გაურკვევლობების ფონზე კურსის მერყეობის ზრდა, რაც დაკავშირებულია გეოპოლიტიკურ დამახულობასთან, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის შენელებასთან და გლობალურ მონეტარულ პოლიტიკასთან.

ამ ფონზე, სავალუტო რისკი კომპანიისთვის გარდაუვალია. კურსის მკვეთრი ცვლილება ზრდის იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებას, რაც საბოლოოდ აისახება როგორც საოპერაციო ხარჯებზე, ისე მომხმარებლისთვის შეთავაზებული ფასების სტრუქტურაზე. შესაბამისად, აუცილებელია რისკის მართვის მექანიზმების გააქტიურება, მათ შორის ჰეჯირების სტრატეგიების დანერგვა, მრავალვალუტოვანი ბიუჯეტირების პრაქტიკა და კონტრაქტების პირობების გადახედვა.

ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები

	დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

კიბერუსაფრთხოების რისკი

2024–2025 წლებში კიბერუსაფრთხოება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საფრთხედ იქცა როგორც გლობალურად, ისე საქართველოში. ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, გაიზარდა კიბერშეტევების სიხშირე და სირთულე. განსაკუთრებით აქტუალური გახდა ფიშინგი, გამოსასყიდი პროგრამები, მონაცემთა გაჟონვა და ხელგონური ინტელექტის გამოყენებით განხორციელებული შეტევები.

საქართველოში კიბერდანაშაულის მაჩვენებელი მზარდია, ხოლო კრიტიკული ინფრასტრუქტურის მოწყვლადობა კვლავ გამოწვევად რჩება. სატელეკომუნიკაციო კომპანიები, როგორც მაღალი ციფრული დატვირთვის მქონე სექტორი, განსაკუთრებულად არიან რისკის ქვეშ — მათ სისტემებში შეტევა არა მხოლოდ ფინანსურ ზიანს, არამედ მომხმარებელთა ნდობის დაკარგვასაც იწვევს.

რა ღონისძიებებს ახორციელებს კომპანია აღნიშნული რისკის დასაზღვევად:

- სისტემური დაცვა და მონიტორინგი
- დანერგოს სისტემები რეალურ დროში ანომალიების დასაფიქსირებლად
- მრავალფენიანი ავთენტიფიკაცია (MFA)
- თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება
- რეგულარული ტრენინგები ფიშინგის, სოციალური ინჟინერიისა და მონაცემთა დაცვის შესახებ
- რეზერვული სისტემები და აღდგენის გეგმა
- ყოველდღიური ან შუალედური ბეჭაპები, რომლებიც ინახება დამოუკიდებლად
- მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მუდმივი მონიტორინგი

რეგულირების რისკი

2024–2025 წლებში კავშირგაბმულობისა და საკომუნიკაციო კომპანიებისთვის რეგულირების რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც განპირობებულია როგორც ადგილობრივი კანონმდებლობის ცვლილებებით, ისე ევროკავშირთან და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების პროცესით. ეს რისკი მოიცავს როგორც ფინანსურ ზეწოლას, ასევე ოპერაციულ და რეპუტაციულ საფრთხეებს.

რეგულირების რისკები:

- მონაცემთა დაცვის გამკაცრებული მოთხოვნები;
- სერვისების ხელმისაწვდომობის მოთხოვნები;
- ინფრასტრუქტურის გაზიარების წესები;
- მომსახურების ბაზრის სეგმენტაცია და კონკურენციის ანალიზი.

რისკების გადაზღვევისთვის კომპანია მიდმევად ადევნებს თვალს მარეგულირებელ ცვლილებებს და ახდენს მათ შეფასებას. მიდმევად ანახლებს შიდა პოლიტიკებს მონაცემთა დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის და სხვა კრიტიკული მიმართულებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი კომპანიისთვის არის კონტრაგენტის მიერ– ძირითადად აბონენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული რისკი. ასევე ურთიერთობის ოპერატორებისგან და სხვა საბითუმო მომსახურების მიმღები მომხმარებლებისგან ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საკრედიტო რისკისგან თავის დაცვის მიზნით, კომპანია თითქმის სრულად გადავიდა საავანსო გადახდის სისტემაზე, თუმცა აღნიშნული რისკის ხარისხობრივად მაღალი მაჩვენებელია იმ კატეგორიის აბონენტებთან მიმართებაში, ვინც მხოლოდ სატელეფონო მომსახურებით სარგებლობს და ანგარიშსწორებას ახორციელებს მომსახურების მიღების შემდეგ. თუმცა კომპანია ახდენს ამ ტიპის აბონენტების მონიტორინგს ყოველდღიურად და ხდება მათი ინფორმირება მიმდინარე დავალიანებების შესახებ.

5. კომპანიის თანამშრომლები, უსაფრთხოების და გარემოს დაცვა.

კომპანიის მართვის სტრუქტურა მოიცავს დირექტორს და დირექტორის მოადგილეებს: ფინანსურ, ტექნიკურ, სამშენებლო და კომერციულ საკითხებში. კომპანიაში დასაქმებულია 399 თანამშრომელი. მათ შორის ქალების რაოდენობა შეადგენს 149 თანამშრომელს. მამაკაცების რაოდენობის სიჭარბე აიხსნება დარგის სპეციფიკიდან

გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში მაღალია ქალების რაოდენობა მენეჯერულ პოზიციებზე. ასევე, საკმაოდ მაღალია მათი რაოდენობა ქოლ.ცენტრის და აბონენტთა მომსახურების განყოფილებებში.

შპს „ახალი ქსელები“ მნიშვნელოვან როლს ანიჭებს და პრიორიტეტად აქვს დასახული, როგორც დასაქმებულების, ასევე აბონენტების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კომპანია ზრუნავს მომხმარებლების უსაფრთხოებაზე და უზურნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვით; მენეჯმენტის და დასაქმებულების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. ამ მიზნით კომპანია ახორციელებს არაერთ პროაქტიულ ღონისძიებას და მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სამუშაო პროცესის მონიტორინგსა და კონტროლს. ეს მიდგომა ხელს უწყობს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა შესაბამისი რეგულაციები.

გარემოს დაცვა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა, რადგან დღეს, ყველა შეგნებულ ადამიანს გააზრებული აქვს ის, რომ სუფთა გარემო, ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ჯანსაღი მომავალია! შპს „ახალი ქსელები“ ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებას თავის თანამშრომლებში, რათა მათ გააკეთონ სწორი არჩევანი და მონაწილეობა მიიღონ გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. გარემოსდაცვითი განათლება მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, ვინაიდან ის აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს.

შპს „ახალი ქსელები“ ახორციელებს თავის ეკონომიკურ საქმიანობას გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით

6. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ.

დირექტორი

ხათუნა ინჯია _____

2025 წლის 27 ივნისი

გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ კომპანიაში მაღალია ქალების რაოდენობა მენეჯერულ პოზიციებზე. ასევე, საკმაოდ მაღალია მათი რაოდენობა ქოლ.ცენტრის და აბონენტთა მომსახურების განყოფილებებში.

შპს „ახალი ქსელები“ მნიშვნელოვან როლს ანიჭებს და პრიორიტეტად აქვს დასახული, როგორც დასაქმებულების, ასევე აბონენტების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კომპანია ზრუნავს მომხმარებლების უსაფრთხოებაზე და უზურნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვით; მენეჯმენტის და დასაქმებულების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებისკენ. ამ მიზნით კომპანია ახორციელებს არაერთ პროაქტიულ ღონისძიებას და მუდმივ რეჟიმში აწარმოებს სამუშაო პროცესის მონიტორინგსა და კონტროლს. ეს მიდგომა ხელს უწყობს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კომპანიის მენეჯმენტი ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა შესაბამისი რეგულაციები.

გარემოს დაცვა მთელ მსოფლიოში აქტუალური პრობლემაა, რადგან დღეს, ყველა შეგნებულ ადამიანს გააზრებული აქვს ის, რომ სუფთა გარემო, ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ჯანსაღი მომავალია! შპს „ახალი ქსელები“ ხელს უწყობს გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბებას თავის თანამშრომლებში, რათა მათ გააკეთონ სწორი არჩევანი და მონაწილეობა მიიღონ გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესების საქმეში. გარემოსდაცვითი განათლება მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, ვინაიდან ის აყალიბებს გარემოსდაცვით შეგნებას, ღირებულებებს და უნარ-ჩვევებს.

შპს „ახალი ქსელები“ ახორციელებს თავის ეკონომიკურ საქმიანობას გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით

6. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2024 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ.

დირექტორი

ხათუნა ინჯია

2025 წლის 27 ივნისი

